მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

ფლიური ანგარიში

2005

მისამართი: მერაბ ალექსიძის ქუჩა №1, თბილისი 0193, საქართველო
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 334081, ფაქსი: (995 32) 334163; ელფოსტა: cipdd@cipdd.org; ვებგვერდი: www.cipdd.org

სარჩევი

1. მისიის გაცხადება

2. ზოგადი ცნობები კავკასიური ინსტიტუტის შესახებ

3. კავკასიური ინსტიტუტის გამგეობა

4. კავკასიური ინსტიტუტის ფინანსები

5. კავკასიური ინსტიტუტის დონორები

6. კავკასიური ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები

7. კავკასიური ინსტიტუტის საქმიანობა 2005 წლის განმავლობაში

8. კავკასიური ინსტიტუტის გამოცემები 2005 წლის განმავლობაში

<u>დანართი</u>
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა 2005

1. მისიის გაცხადება

ჩვენ იმ დაუცველ, სიღარიბით განაწამებ და ბუნდოვანი მომავლის მქონე საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომელსაც მყარი მშვიდობა, თავისუფლება და კეთილდღეობა სწყურია. ჩვენ გვჯერა, ამ მიზნების მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება თუ:

- დავიცავთ თითოეული ჩვენგანის პოლიტიკურ უფლებებს;
- პატივს ვცემთ მოქალაქის პიროვნულ ღირსებას;
- შევქმნით მრავალსახა და უშრეტი ენერგიის სამოქალაქო საზოგადოებას;
- კონკურენტუნარიან და გამჭირვალე კერძო ბიზნეს სექტორს;
- კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ ეფექტურ და ანგარიშვალდებულ სამოქალაქო ინსტიტუტებს.

პოლიტიკური ერთიანობის მქონე ერად ჩვენი ჩამოყალიბება, ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხია, მაგრამ ამავე დროს იმ კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემაც არ უნდა დავკარგოთ, რომელიც ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას ვუჭერთ მხარს, რადგან ეს ჩვენი საზოგადოების სტრატეგიული მიზანია და ამასთან მიგვაჩნია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შავი ზღვის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა, საგანგებო მნიშვნელობას იძენს ჩვენი ზრდა-განვითარებისათვის.

ამ მიზნების მისაღწევად ქართულმა საზოგადოებამ შეთანხმებული და თანმიმდერული პოლიტიკური სტრატეგიები უნდა მოიმარჯვოს, გულწრფელად და კვალიფიციურად შეაფასოს თავისი მიღწევა-ნაკლოვანებები და საჯარო დებატები გამართოს ამ სტრატეგიების და შეფასებების გარშემო. დებატებში ჩვენი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები უნდა ჩაერთონ. ჩვენ ისეთი მაღალი ხარისხის დემოკრატია გვჭირდება, სადაც ადამიანებმა იციან, როგორ მიაღწიონ კონსენსუსს და შეიწყნარონ განსხვავებული აზრი. ჩვენ სწორედ აქ ვაპირებთ წვლილის შეტანას. ჩვენ გამოვიმუშავებთ *ცოდნას* ჩვენი საზოგადოების შესახებ, ვაყალიბებთ *შეხედულებებს,* რა არის საჭირო საიმისოდ, რომ უკეთ ვიცხოვროთ და *ვკრებთ* ხალხს ჩვენი წინსვლის პირობების განსასჯელად.

2. ზოგადი ცნობები კავკასიური ინსტიტუტის შესახებ

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD) დაფუძნდა 1992 წლის აგვისტოში, თბილისში. ინსტიტუტი არის არასამთავრობო და არასამეწარმეო ორგანიზაცია, არ იმყოფება კავშირში არცერთ პოლიტიკურ პარტიასთან; 1998 წლის 6 ნოემბერს კავკასიურმა ინსტიტუტმა ხელახალი რეგისტრაცია გაიარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ფონდის სამართლებრივი სტატუსით (რეგისტრაციის ნომერია 28/112). კიდევ ერთი ხელახალი რეგისტრაცია (13.12.2004. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ბრძანება№156) წესდებაში შეტანილმა ცვლილებებმა გამოიწვია.

კავკასიური ინსტიტუტი სახელმწიფო პოლიტიკის „სწავლულ ექსპერტთა ცენტრია“ (think tank). მისი საქმიანობა ორ ვრცელ სიბრტყეზეა გაშლილი: *დემოკრატიული გარდაქმნა და ინსტიტუციური მშენებლობა,* და *მტკიცე მშვიდობის და უსაფრთხოების საფუძვლების შექმნა.* გამოიყოფა რამდენიმე სფერო, სადაც კავკასიური ინსტიტუტის კომპეტენცია შედარებით მაღალია. ესენია: ეთნოსური და რელიგიური უმცირესობების პრობლემები; ადილობრივი

თვითმმართველობა; სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობა; სამოქალაქო დიპლომატია და ნდობის დამკვიდრება (confidence building); სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები და უსაფრთხოების სექტორის რეფორმები.

კავკასიური ინსტიტუტი საქართველოს ფარგლებს შიგნით უფრო წარმართავს თავის საქმიანობას, თუმცა სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვა-ბალკანეთის სივრცეზე მიმდინარე ერთობლივ პროექტებშიც მონაწილეობს ხოლმე. ის ხშირად არის სხვა - ქართული თუ საზღვარგარეთული - სამოქალაქო ორგანიზაციის პარტნიორი ან რომელიმე კოალიციის წევრი. მეორეს მხრივ, ის საქართველოს ხელისუფლებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც ასევე ხშირად თანამშრომლობს.

კავკასიური ინსტიტუტი ასრულებს კვლევით სამუშაოებს, გამოცემს გამოცემებს, აწყობს კონფერენციებს და სამუშაო შეხვედრებს - მრგვალ მაგიდებს. მისი ექსპერტების სამოქმედო სფეროებში ინსტიტუტი ტრეინინგ-გაკვეთილებსაც ატარებს.

პოლიტიკური რეკომენდაციების შემუშავების გარდა, კავკასიური ინსტიტუტი ადამიანის უფლებადაცვით და დემოკრატიის მხარდამჭერ ღონისძიებებშიც ხშირად მონაწილეობს. ამ მიზნით ინსტიტუტი, ჩვეულებრივ, თანამოაზრე ინდივიდებთან და ორგანიზაციებთან ებმება ხოლმე კოალიციაში.

ინსტიტუტის პროექტებს ზედამხედველობას უწევს და ახორციელებს აღმასრულებელი საბჭო (8 ადამიანი). მუდმივი ადმინისტრაციული შტატი ხუთი ადამიანისაგან შედგება, რომელსაც აღმასრულებელი დირექტორი უდგას სათავეში. 15-20 კაცამდე სახელშეკრულებო საფუძველზე მუშაობს. გია ნოდია არის გამგეობის თავმჯდომარე, ავთანდილ ჯოხაძე – აღმასრულებელი დირექტორი.

3. კავკასიური ინსტიტუტის გამგეობა

2005 წელს ინსტიტუტის გამგეობის წევრები არიან:

1) ია ანთაძე
2) გიორგი გვახარია
3) ირაკლი მჭედლიშვილი
4) მალხაზ სონღულაშვილი
5) ემზარ ჯგერენაია
6) ემილია ხალილოვა
7) გია ნოდია

4. კავკასიური ინსტიტუტის ფინანსები

ინსტიტუტის საქმიანობა დონორების მხარდაჭერაზე, აგრეთვე მისი თანამშრომლების, პარტნიორების და კოლეგების ენთუზიაზმზე და პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული. მისი ფინანსების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოდის სხვა წყაროებიდან. ასეთია, მაგალითად, ინსტიტუტის გამოცემების გაყიდვით მიღებული შემოსავალი (ამ გამოცემების უმრავლესობა უსასყიდლოდ რიგდება ხოლმე).

2005 წელს ინსტიტუტის საქმიანობაზე დახარჯულმა თანხამ შეადგინა 393 666 ამერიკული დოლარის ექვივალენტი (იხ 2005 წლის აუდიტორული დასკვნა).

5. კავკასიური ინსტიტუტის დონორები

2005 წლის განმავლობაში კავკასიური ინსტიტუტის საქმიანობას მხარს უჭერდნენ შემდეგი დონორები და პარტნიორი ორგანიზაციები:

- ჰოლანდიური ფონდი - Cordaid
- ევრაზიის ფონდი (The Eurasia Foundation)
- ევროკომისია, უშუალოდ და ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის მეშვეობით (IWPR, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი)
- დასავლეთ-აღმოსავლეთის პრობლემების ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI შვეიცარია)
- ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი (OSCE)
- ფონდი - ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)
- აშშ-ს საერთაშორისო განვით რების სააგენტო (USAID Save the Children–ის მეშვეობით)
- დემოკრატიისა და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი (International IDEA)
- ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიული ინსტიტუტი (NIMD)
- Saferworld (ლონდონი, გაერთიანებული სამეფო)

6. კავკასიური ინსტიტუტის პარტნიორი ორგანიზაციები

ქვემოთ ჩამოთვლილია ორგანიზაციები, რომელებთანაც კავკასიური ინსტიტუტი ერთობლივი პროექტებს ახორციელებდა 2005 წლის განმავლობაში:

- *ალტერნატივა*, თბილისი, საქართველო
- გაეროს ასოციაცია, თბილისი, საქართველო
- სომხეთის საგამომძიებლო ჟურნალისტების ასოციაცია (ერევანი. სომხეთი)
- აზერბაიჯანის ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი (RUH), ბაქო, აზერბაიზანი
- კონფლიქტების გადაჭრის და ტყვეთა გაცვლის ცენტრი *პარტნიორები-საქართველო*, თბილისი, საქართველო.
- ექსტრემალური ვითარების ჟურნალისტიკის ცენტრი, მოსკოვი, რუსეთი
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო
- ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR), ლონდონი გაერთიანებული სამეფო
- Safeworld, ლონდონი გაერთიანებული სამეფო
- Save the Children
- კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრი
- ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტიებისა და ადამიანის უფლებევეის ოფისი (OSCE/ODIHR)
- ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიული ინსტიტუტი (NIMD)
- საერთაშორისო IDEA
- გრიფიტის უნივერსიტეტი (ავსტრალია)
- მართვისა და ეთიკის ღია საზოგადოების ინსტიტუტი (უნგრეთი)

7. კავკასიური ინსტიტუტის საქმიანობა 2005 წლის განმავლობაში

<u>პოლიტიკური სისტემის რეფორმები საქართველოში და კავკასიური ინსტიტუტის წვლილი</u>

2004 წლის თებერვალში ქვეყნის კონსტიტუციაში შესულმა შესწორებებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს პოლიტიკური სისტემა და ის პრეზიდენტურიდან „ნახევრად პრეზიდენტურ“, ზოგი ექსპერტის შეფასებით კი, „სუპერპრეზიდენტურ“ სისტემად აქცია, ხოლო აღმასრულებელ და განმკარგულებელ შტოებს შორის არსებული ბალანსი აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ დაარღვია; სამოქალაქო საზოგადოება არ მიესალმნენ ამ ცვლილებას; ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორიც ევროსაბჭოა საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს ისევ გადახედოს კონსტიტუციას და აღადგინოს ხელისუფლების შტოებს შორის დარღვეული ბალანსი.

ჯერ კიდევ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებამდე, 2004 წლის იანვარში, კავკასიურმა ინსტიტუტმა საჯარო დისკუსია გამართა ამ თემაზე, სადაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელებმა მოსალოდნელი ცვლილებებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინეს. ეს დამოკიდებულება აისახა კავკასიური ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის, ავთო ჯოხაძის სტატიაში - „შედგება თუ არა პრემიერა?“ (გაზეთი „24 საათი“ 17 იანვარი, 2004). მალე, 2004 წლის თებერვალში, სამოქალაქო საზოგადოების დელეგაცია - რომელთა რიგებში კავკასიური ინსტიტუტის თავმჯდომარე, გია ნოდიაც იმყოფებოდა - აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ ქვეყნის პრეზიდენტს შეხვდა. ამ პრობლემას კავკასიური ინსტიტუტი უფრო ფუნდამენტურად 2004 წლის ივნისიდან 2005 წლის აგვისტომდე პერიოდში იკვლევდა დემოკრატიის და არჩევნების ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტთან (international IDEA) ერთობლივი პროექტის სახით: *„კონსტიტუციური და პოლიტიკური რეფორმების პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები“*

პროექტი ორ მნიშვნელოვან პრობლემას შეეხო: *ცენტრალური ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების განაწილებას* და *საერთოეროვნული დონიდან უფლებამოსილებების რეგიონალურ და აგდილობრივ დონეებზე გადაცემას.*

პროექტი ამ საკითხებზე სამოქალაქო დისკუსიის გაჩაღებას და საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო პროცესებში საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობის გაზრდას ისახავდა მიზნად, რასაც თავის მხრივ კონსტუტუციუტი რეფორმების ხარისხისა და ლეგიტიმურობის ამაღლება უნდა მოჰყოლოდა.

წამყვან ექსპერტთა ორმა ჯგუფმა შეიმუშავა ორი პირველადი დოკუმენტი, რომლებიც საქართველოს ხუთ რეგიონში და თბილისში ჩატარებულ საჯარო დისკუსიებზე განიხილებოდა. განხილვებში ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის და მედიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის შემუშავებისას ამ დისკუსიის შედეგების გარდა, ევროპელი ექსპერტების მოსაზრებები და საკონსტიტუციო პროცესებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების გამორკვევის მიზნით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებიც იქნა გათვალისწინებული.
საბოლოოდ შემუშავდა პოლიტიკურ-სარეკომენდაციო შინაარსის დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ განისაზღვრა საკონსტიტუციო რეფორმის დღის წესრიგი ორ ზემოხსენებულ თემატურ სფეროში.

დოკუმენტის როგორც წინასწარი, ისე საბოლოო ვერსია ძირითადად ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ აქტიორებს შორის გავრცელდა.

ადგილობრივ და რეგიონალურ დონეებზე ძალაუფლების განაწილების საკითხში ხელისუფლებასთან მნიშვნელოვანი უთანხმოების მიუხედავად ზოგიერთი სახელისუფლებო წარმომადგენელი რეკომენდაციების შემუშავების პროცესში მაინც ჩაერთო.

პროექტმა მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონი მოიცვა, - გაკეთდა სომხეთსა და აზერბაიჯანში მიმდინარე პოლიტიკური რეფორმების ექსპერტული ანალიზი და სომეხი და აზერბაიჯანელი ექსპერტების მიერ მომზადდა შესაბამისი დოკუმენტები.

2005 წლის 17-19 მარტს IDEA-მ და კავკასიურმა ინსტიტუტმა თბილისში ჩაატარეს საერთაშორისო კონფერენცია: *„საკონსტიტუციო/პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები“.* კონფერენცია სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანის - საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს - რეფორმების პროცესებზე ინფორმაციის გაცვლას და ამ ქვეყნების ევროპაში ინტეგრაციის პერსპექტივების მიმოხილვას დაეთმო. წარმოდგენილი იქნა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ექსპერტების მიერ ამ თემაზე შექმნილი სტრატეგიული დოკუნეტები.

და ბოლოს, საერთაშორისო IDEA-მ და კავკასიურმა ინსტიტუტმა ამ ერთობლივი პროექტის შედეგების ამსახველი წიგნი გამოსცეს: *„საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები“.* წიგნში შეჯამებულია ქართული პოლიტიკური საზოგადოების თვალსაზრისები და ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულება ამ საკითხებისადმი. გამოიცა რუსული ვერსიაც: *„საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმების პროცესი საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში,“* - რომელიც სომეხი და აზერბაიჯანელი ექსპერტების მიერ თავ-თავიანთ ქვეყნებში რეფორმების მიმდინარეობის და ევროინტეგრაციის პერსპექტივის ანალიზებსაც შეიცავს.

პუბლიკაცია სამივე რესპუბლიკაში გავრცელდა.

ელექტრონული ვერსია ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია IDEA-ს ვებგვერდზე: www.idea.int.

პოლიტიკური სისტემის რეფორმირების პროცესს უკავშირდება ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის (NIMD) მიერ დაფინანსებული პროექტიც: „პოლიტიკური ინსტიტუტები საქართველოში“, რომელიც 2005 წლის იანვრიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება.

პროექტი ქართულ პოლიტიკურ პარტიებითან, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტთან, ევროპის უსაფრთხოების და თანამშორმლობის ორგანიზაციის დემოკრატიის ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისთან თანამშრომლობით ხორციელდება.

პროექტის მთავარი ამოცანა სხვადასხვა პოლიტიკური აქტორისთვის ურთიერთთანამშრომლობის სტრუქტურის შეთავაზებაა, რაც პოლიტიკურ პარტიებს საკუთარი ორგანიზაციების სურათის გამოკვეთის და დიაგნოზის დასმის საშუალებას მისცემს. პროექტმა ანალიტიკური საფუძველი უნდა შეამზადოს სამომავლოდ პარტიებთან თანამშრომლობისა და ტექნიკური მხარდაჭერის პროექტების განსახორციელებლად.

კვლევის პირველი ეტაპი პოლიტიკური პარტიების შერჩევას ითვალისწინებდა. შეირჩა ექვსი პოლიტიკური პარტია: *საქართველოს კონსერვატიული პარტია; მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს; საქართველოს*

ლეიბორისტული (შრომის) პარტია; ახალი მემარჯვენეები; რესპუბლიკური პარტია და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.

მთავარ მეთოდად გამოყენებული იყო პოლიტიკური პარტიების ინტერაქტიული კვლევა. პარტიები კვლევის პასიური ობიექტები კი არა, აქტიური მონაწილეები და პარტნიორები იყვნენ. თითოეული პოლიტიკური პარტიიდან შერჩეული წარმომადგენელი აქტიურად თანამშრომლობდა მკვლევართა ჯგუფთან.

კვლევის უმთავრეს ბაზას, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ჩატარებული ოცდაოთხი, თითო პარტიასთან ოთხი, სამუშაო შეხვედრა წარმოადგენდა. ამ შეხვედრების ნახევარი (კერძოდ, თითო პარტიასთან ორი) თბილისში ჩატარდა, დანარჩენი კი დედაქალაქის გარეთ. თითოეულ პარტიასთან ჩატარებული ოთხი სამუშაო შეხვედრა განსხვავებულ საკითხებს ეხებოდა. ეს საკითხები იყო: პარტიის იდეოლოგიური სახე და პოლიტიკის განსაზღვრა; ორგანიზაციული სტრუქტურა/ფინანსური და ადამიანური რესურსები; შიდა დემოკრატია; საზოგადოებასთან ურთიერთობა და საარჩევნო კამპანია.

თითოეულ სამუშაო შეხვედრაში, საშუალოდ, პარტიის ათი წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის პარტიის ლიდერები, აქტივისტები და პირველადი ორგანიზაციების წევრები. დისკუსიების ატმოსფერო იყო ერთობ ღია, პარტიის წევრები თავს არ არიდებდნენ კამათს მტკივნეულ საკითხებზეც კი. შეხვედრები 2005 წლის ივნის-სექტემბერში ჩატარდა.

ინფორმაციის კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროს 2005 წლის 31 მაისს თბილისში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული კონფერენცია წარმოადგენდა, რომელსაც ექვსივე პარტიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პოლიტიკური პარტიებისგან უშუალოდ მიღებულ ინფორმაციასთან ერთად, კვლევითმა ჯგუფმა დამატებით გამოიყენა ადგილობრივი ექსპერტების მიერ ქართულ პოლიტიკურ პარტიებზე და პოლიტიკური სივრცის განვითარებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ანალიტიკური მასალა, სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს პოლიტიკური სივრცის სხვადასხვა სფეროზე მომზადებული ანგარიშები.

ყოველივე ამან წარმოაჩინა თითოეული პარტიის მდგომარეობის, პარტიებს შორის ურთიერთობების და დანარჩენ ქართულ საზოგადოებასთან კავშირის ამჟამინდდელი სურათი.

<u>ეთნოსური და რელიგიური უმცირესობების უფლებები და სამოქალაქო ინტეგრაცია</u>

უკანასკნელ წლებში, კავკასიური ინსტიტუტის მთავარი პრიორიტეტი საქართველოში ეთნოსური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციაზე და მათი უფლებების დაცვაზე მიმართული საქმიანობა გახდა. 2005 წელს განმავლობაში კავკასიურმა ინსტიტუტმა განაგრძო ეუთოს ნაციონალურ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატის ძალისხმევების კოორდინირება, რომელიც, შესაძლო კონფლიქტის ინდიკატორების გამოსავლენად, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის განვითარების მონიტორინგს გულისხმობს. პროექტი, რომელსაც კავკასიური ინსტიტუტი ახორციელებს - *„სამცხე-ჯავახეთში ვითარების კვლევა და ანალიზი,“* არის ნაწილი სამცხე-ჯავახეთში კონფლიქტის პრევენციის და ინტეგრაციის დიდი პროგრამის, რომელიც 2000 წელს დაიწყო. პროექტის მიზნებია, გამოიკვლიოს და გააანალიზოს: სამცხე-ჯავახეთში კონფლიქტის შესაძლო კერები; ეთნოსებშორისი ურთიერთობები; ურთიერთობები

ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის; საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი აქტიორების (რუსეთი, აშშ) რეგიონალური პოლიტიკა; ყოველივე ამის საფუძველზე უმაღლესი კომისარიატის ოფისს და საქართველოს მთავრობას უნდა მიეწოდოს განახლებადი ინფორმაცია პოტენციური კონფლიქტური ზონებში არსებული ვითარების შესახებ; უნდა შემუშავდეს რეგიონში ვითარების მომავალი განვითარების შესაძლო სცენარი და მომზადდეს რეკომენდაციები შესაძლო კონფლიქტის პრევენციაზე.

პროექტის ფარგლებში კავკასიური ინსტიტუტი ამზადებს ყოველთვიურ ანგარიშს იმის შესახებ, თუ როგორ შუქდება სამცხე-ჯავახეთის პრობლემები ადგილობრივ მედიაში, რისთვისაც ის ადგილობრივი მეთვალყურეების (სხვადასხვა ეთნოსური წარმომავლობის სულ 13 კორესპოდენტის) მონაცემებს იყენებს. გარდა ამისა, კავკასიური ინსტიტუტი ლოჯისტიკურ დახმარებას უწევს გაზეთების კორესპოდენტების ტრეინინგებს.

ადგილობრივი კორესპოდენტები ხშირად გვთავაზობენ ვარგის იდეებს მომავალი განვითარების და არსებული პრობლემების გადაჭრისათვის. მათ მონაცემებზე დაყრდნობით კავკასიური ინსტიტუტი იმუშავებს რეგიონში მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარებს და რეკომენდაციებს რეგიონში მომქმედ სხვადასხვა აქტორებისათვის.

2005 წლის განმავლობაში გრძელდებოდა კავკასიური ინსტიტუტის და კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ერთობლივი დიდი, სამწლიანი, პროექტი: *„ლიბერალურ დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება რელიგიური პლურალიზმის გარემოს გაუმჯობესების მეშვეობით,* რომელიც ჰოლანდიური ფონდის CORDAID-ის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში რელიგიური ტოლერანტობის სასწავლო კურსის შექმნა იყო განზრახული; ამასთან, კავკასიური ინსტიტუტი თანამშრომლობს განათლების სამინისტროსთან სასკოლო სასწავლო პროგრამებში ისეთი ცვლილებების შეტანის მიზნით, რომელიც რელიგიური პლურალიზმის იდეის შეწყნარებას წაადგება;

2005 წლის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოს შედეგად უკვე შედგა რელიგიური ტოლერანტობის ეროვნული სასწავლო გეგმა და წარედგინა იგი განათლების სამინისტროს.

გარდა ამისა კავკასიური ინსტიტუტი იკვლევდა რელიგიური გაერთიანებების პრობლემებს და სატკივარებს და აწარმოებს სახელისუფლო პოლიტიკის მონიტორინგის, როგორც რელიგიური უმცირესობების, ისე საერთოდ რელიგიური პრობლემების მიმართ.

ამ ამოცანების გადასაჭრელად 2005 წლის განმავლობაში კავკასიური ინსტიტუტის ექსპერტები ესაუბრნენ, როგორც სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლებს ისე პოლიტიკოსებს, გაკეთდა მათთან ჩატარებული ინტერვიუების პირველადი ანალიზი. დაგეგმილია საბოლოო შედეგების პუბლიკაცია.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რელიგიური ორგანიზაციების მდგომარეობა რეგიონებში ბევრად უარესია ვიდრე დედაქალაქში. რეგიონებში ადგილი აქვს დისკრიმინაც და ძალადობას, თუმცა ეს ფაქტები უფრო შენიღბულია, ვიდრე ეს 2003 ნოემბრის რევოლუციამდე ხდებოდა.

ამავე დროს, ჩატარებული კვლევის წინასწარი შედეგები გამოყენებულ იქნა ზოგადსაგანმანათლებო სკოლების პედაგოგების ტრეინინგების დიზაინის შესაქმნელად და შესაბამისი ჯგუფების დასაკომპლექტებლად; ტრენერების ჯგუფი მომზადდა ტრეინინგების და კონსულტაციების ცენტრში (CTC), რის შემდეგაც ჩატარდა ინტერვიუ დედაქალაქის 30 სკოლის ოთხმოცადე

მასწავლებელთან. აირჩა 60 მასწავლებელი, რომელთაგან დაკომპლექტდა 5 ჯგუფი. გარდა ამისა ერთი ჯგუფი დაკომპლექტდა პედაგოგიური უნივერსიტეტის ბოლო კურსის სტუდენტებისგან. მათ უტარდებოდათ ორდღიანი ტრეინინგები თემაზე *"ვასწავლოთ და ვისწავლოთ რელიგიური ტოლერანტობა".*

ამავე პროექტის ფარგლებში 2005 წელს გამოვიდა ჟურნალ „ზღვარის" და ალმანახ „საზოგადოება და პოლიტიკის" ერთობლივი ნომერი, რომელიც რელიგიური ინტეგრაციის და თავისუფლების თემას მიეძღვნა. მასში შევიდა მასალები, რომლებიც უშუალოდ უტრიალებენ დღევანდელი საქართველოს რელიგიურ ცხოვრებას, ასევე ის ტექსტებიც, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დავინახოთ, როგორ დგას მსგავსი საკითხები სხვა ქვეყნებში.

ამავე პროექტის ფარგლებში მზადდება რელიგიური გამოცემების და რელიგიურ თემაზე პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ამსახველი ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენი www.cipdd.org;

<u>სამოქალაქო საზოგადოება და მედიის განვითარების ხელშეწყობა</u>

როგორც ერთ-ერთი წამყვანი ქართული სამოქალაქო ორგანიზაცია, კავკასიური ინსტიტუტი სამოქალაქო საზოგადოების, განვითარებას მისი საქმიანობის უმთავარეს მიმართულებად მიიჩნევს. 2002 წლის ბოლოდან მოყოლობელი კავკასიური ინსტიტუტი ზოგ იმ სხვა ქართულ ორგანიზაციასთან, რომლებმაც „სამოქალაქო წრის" კოალაცია ჩამოაყალიბეს და საერთაშორისო ორგანიზაცია " Save the Children"-თან ერთად, აქტიურად ჩაება *მოქალაქეობრივი ინტერესების დაცვის* (CAP) სამწლიან პროექტში. პროექტი 2005 წლის ივნისში დასრულდა. პროექტის მიზანი იყო გაეძლიერებინა საქართველოს სამოქალაქო ორგანიზაციების უფლებადაცვითი უნარი. კავკასიურმა ინსტიტუტმა სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების არაერთი დისკუსია ჩაატარა ქართული სამოქალაქო საზოგადოების ისეთ საჭირბოროტო საკითხებზე, როგორებიცაა: არასამთავრობო ორგანიზაციების ქცევის კოდექსი; მათი ურთიერთობა პოლიტიკურ აქტიორებთან; მათი ურთიერთობა ფართო საზოგადოებასთან; არასამთავრობო ორგანიზაციების როლი „ვარდების რევოლუციის" შემდეგ შექმნილ ახალ ვითარებაში; მესამე სექტორი და პოლიტიკური პარტიები; არასამთავრობო სექტორის ფინანსური და ინსტიტუციონალური მდგრადობა. თითოეულ ამ დისკუსიაში 20 დან 50 კაცამდე მონაწილეობდა, რომლებიც უმთავრესად საქართველოს წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ. ეს დისკუსიები იქცა საქართველოში „მესამე სექტორის" პრობლემების განხილვის მთავარ ფორუმად. მან თავისი წვლილი შეიტანა ქართული NGO თემის ერთიანი თვალთახედვის და სტრატეგიის ჩამოყალიბებაში და რამდენიმე ახალ ინიციატივას დაუდო სათავე სექტორის შიგნით. სახელდობრ, შეიქმნა სამუშაო ჯგუფები: საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების „ქცევის კოდექსის" პირველადი ვარიანტის შესაქმნელად; საჯარო მნიშვნელობის მქონე ერთობლივი სტრატეგიის გამოსამუშავებლად; შემდგომი შეხვედრების გასამართად და სხვა.

პროექტის ფარგლებში გამართული დისკუსიების შედეგად დაიბეჭდა რვა ბროშურა, მათი ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.advocacy.ge - ასე რომ, მათი შინაარსი და შედეგები ქართული NGO-ების ფართო წრისათვის გახდა ცნობილი.

ამავე პროექტის ფარგლებში, კავკასიურმა ინსტიტუტმა არასამთავრობო ორგანიზაციათა რესურს-ცენტრი და დონორთა მონაცემთა ბაზა შექმნა, რაც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერი ორგანიზაციისათვისაა ხელმისაწვდომი. www.advocacy.ge

პროექტის ბოლო ეტაპზე კავკასიური ინსტიტუტის თავმჯდომარის *გია ნოდიას* ავტორობით შეიქმნა შემაჯამებელი სარეკომენდაციო დოკუმენტი: *სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მირღვევები და გამოწვევები, - სტრატეგიული განაცხადი.* დოკუმენტი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ისეთი პრობლემების შესახებ როგორებიცაა: ინსტიტუციონალური განვითარება, ქცევის სტანდარტები, რესურსების ბაზა, პრიორიტეტები თუ ღირებულებები, სექტორშორისი კოოპერაცია და სინერჯია და მისთ.

ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარდა აგრეთვე რამდენიმე შეხვედრა სხვადასხვა რეგიონის სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგელებთან, საჯარო დისკუსიების წახალისების და სამოქალაქო ინტერესების დაცვის სფეროში კონსულტირების მიზნით. აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტის მიმდინარეობამ ხელი შეუწყო მესამე სექტორის შიგაინტეგრაციული პროცესის გაღრმავებას. დონორების და არასამთავრობოების წარმომადგენლები უფრო ხშირად გამოხატავდნენ ურთიერთთანამშრომლობისათვის მზაობას.

დასასრულ, პროექტის მიმდინარეობამ მრავალი საჭირბოროტო საკითხი გამოკვეთა, რომლის მოგვარებაც სულ უფრო საშური ხდება, ესენია:

მესამე სექტორის შესახებ დახვეწილი კონცეფციის შექმნა;

ეთიკის კოდექსის შესრულების მექანიზმის მიგნება;

სხვა სექტორებთან (ბიზნესი, ხელისუფლება, პოლიტიკური პარტიები და მისთ) თანამშრომლობის ახალი გზების გამონახვა;

ადამიანური რესურსებისადმი მეტი ყურადღების მიქცევის მიზნით სამოქალაქო საზოგადოების მიერ წამოწყებული ინიციატივების მხარდაჭერა.

თუმცა სხვადასხვა სფეროში არაერთი „ენჯიო“ თანამშრომლობს ერთმანეთთან კოალიციის ფორმით, მაგრამ დონორთა უმრავლესობა მაინც ფიქრობს, რომ ეს მოვლენა დროებითია. ასე რომ, „ენჯიოების“ ურთიერთთანამშრომლობის მუდმივმოქმედი ფორმების შექმნა, რომელსაც სექტორს შიგნით ორგანიზაციული ქსელების ჩამოყალიბება და ერთობლივი საქმიანობები მოჰყვება, კვლავინდებურად საშური საქმეა.

მედიის სადღეისო პრობლემებს შორის უპირველეს ყოვლისა მედიის რეალური დამოუკიდებლობის არ არსებობაა აღნიშვნის ღირსი, თვალში საცემია პროფესიული და კვალიფიციური სტანდარტების სიმცირეც. ვარდების რევოლუციის შემდეგ ეთერიდან გაქრა ზოგიეთი პოლიტიკური თოქ-შოუ, რომლებიც ოპოზიციურ პარტიებს უთმობდნენ ტრიბუნას. ამის მიუხედავად, მედია, მთავარი სატელევიზიო კომპანიების ჩათვლით, არ ერიდება ხოლმე ხელისუფლების კრიტიკას და ხელისუფლების ოპონენტებს არც თუ იშვიათად უთმობს ეთერს. სამწუხაროდ, დებატების ხარისხი ერთობ დაბალია; ხშირია პირადი თავდასხმები და კინკლაობები. ქართულ მედიას აშკარად სჭირდება ეკონომიკური და პროფესიული ზრდა, რათა დემოკრატიის ძლიერ და მდგრად საყრდენად ჩამოყალიბდეს. კავკასიურმა ინსტიტუტმა 2005 წლის განმავლობაში განახორციელა ამ პრობლემების დაძლევისკენ მიმართული პროექტები.

2005 წელს გრძელდებოდა პროექტი - *„საქართველოში რეგიონალური მედიის განვითარება და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულება,“* რომელსაც კავკასიური ინსტიტუტი ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტთან (IWPR), (ცნობილ ორგანიზაციასთან, რომლის ადგილსამყოფელი ლონდონშია) ერთობლივად 2003 წლიდან მოყოლებული ახორციელებს. პროექტის მიზანია გააფართოვოს რეგიონალური მასმედიის შესაძლებლობები. პროექტი არის კავკასიური ინსტიტუტის IWPR- თან იმ თანამშრომლობის გაგრძელება, რომელმაც სტარტი 1990 წლების შუა პერიოდში აიღო ჟურნალისტებისთვის

ტრეინინგების სეანსების სერიით და საქართველოში საგამომძიებლო ჟურნალისტიკის მხარდაჭერის პროგრამით. IWPR-ი გამოდის როგორც წამყვანი პარტნიორი პროექტში და თანამშრომლობს საქართველოს ექვს სხვადასხვა რეგიონალურ გაზეთთან. კავკასიური ინსტიტუტის წვლილი პროექტის შესრულებაში განისაზღვრა რეგიონალური მედიის მდგომარეობის შესწავლით და ცალკეულ მედია-ორგანიზაციებთან პროექტის ფარგლებში გაწეული თანამშრომლობის შედეგად მომხდარი ზეგავლენის მონიტორინგით. IWPR-ი ვალდებულია, პრაქტიკული ღონისძიებები გაატაროს საქართველოს ხუთ რეგიონში კონკურსის საფუძველზე შერჩეული გაზეთების ფუნქციონირების სტანდარტების დახვეწის მიზნით, ხოლო კავკასიური ინსტიტუტი ახორციელებს კვლევებს, პროექტის თანახმად გადასაჭრელი ამოცანების პოლიტიკური, სოციალური და ინფორმაციული ფონის გამოსარკვევად. CIPDD-ს კვლევების საფუძველზე მიღებული ანალიზის მიხედვით IWPR სახავს სამოქმედო სტრატეგიას, გეგმავს ღონისძიებებს და ახორციელებს პრაქტიკულ აქტივობებს.

კავკასიური ინსტიტუტი პროექტს რამდენიმე ეტაპად ახერციელებს: პირველი ეტაპზე ჩატარდა რეგიონული მედიის განვითარების პრობლემების პილოტური კვლევა 15 შერჩეული ქალაქის მაგალითზე. მეორე ეტაპზე ჩატარდა კვლევა, რომელმაც საქართველოს 10 რეგიონის ყველა ქალაქი (სულ 61) და რაიონული ცენტრი მოიცვა; დაიწერა საბოლოო ანგარიში და გამოიცა რეგიონალური მედია-რუკა;

მესამე ეტაპი დაიწყო 2005 წლის თებერვალში და 2006 წლის ნოემბრამდე გაგრძელდება. ამ ეტაპზე ჩატარდება ადგილობრივი მედიის, ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები და ადგილობრივი აუდიტორიის მოლოდინებისა და საინფორმაციო პრეფერენციების შესწავლის მიზნით, მოეწყობა ვორკშოფები ფოკუს ჯგუფებთან.

2005 წლის განმავლობაში კაკავკასიურმა ინსტიტუტმა განახორციელა პროექტები, რომლებიც სხვადსხვა ქვეყნების ჟურნალისტებს შორის რეგიონალური თანამშრომლობის გაფართოებას გულისხმობდა.

ერთ შემთხვევაში ეს იყო ევრაზიის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი - *„კავკასიის ჟურნალისტური ქსელი - ერთიანი საინფორმაციო სივრცე სამხრეთ კავკასიაში,“* რომელიც სამხრეთ კავკასიის კოოპერაციის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა.

პროექტი რეგიონში კეთილსინდისიერი, ეფექტური და მრავალსახა მედიის დამკვიდრების ხელშეწყობას და მეზობელი ქვეყნების შესახებ ინფორმაციის მიღებაში ჟურნალისტების დახმარებას ისახავდა მიზნად. პროექტში კავკასიურ ინსტიტუტთან ერთად ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტი (აზერბაიჯანი) და სომხეთის საგამომძიებლო ჟურნალისტების ასოციაცია მონაწილეობდა.

საპროექტო მიზნის მისაღწევად პარტნიორმა ორგანიზაციებმა ერთიანი ვებგვერდი მოამზადეს (www.caucasusjournalists.org), რომელიც სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის ჟურნალისტებისათვის ინტერნეტში ქსელური თანამშრომლობის, ინფორმაციის შეგროვების და გაცვლის იარაღად იქცა. ამ პროექტის წყალობით დაახლოებით 145 ჟურნალისტი და 22 პუბლიცისტი გახდა სამხრეთ კავკასიური ქსელისა წევრი. ქსელი აღჭურვილია საგანგებო განყოფილებებით მონაწილე ჟურნალისტებისათვის: მაგალითად აქ ეწყობა ონლაინ-ინტერვიუები მნიშვნელოვან საჯარო ფიგურებთან, რომლებიც სამივე ქვეყნის ჟურნალისტების კითხვებს პასუხობენ. ჩატარდა 19 ონლაინ ინტერვიუ პოლიტიკოსებთან და ოფიციალურ პირებთან და 4 ფორუმი, გამოვიდა ყოველთვიური ანალიტიკური ონლაინ-ჟურნალის *„სამხრეთ კავკასია“* 8 გამოცემა.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ერთობლივი ინტერნეტული მონაცემთა ბაზა ჟურნალისტების და მედია-ორგანიზაციებისთვის, რომლის გამოყენებაც ქსელის წევრებისათვის უფასოა; ჟურნალისტებს შეუძლიათ მათი სტატიების რეკლამირება და მარკეტირება რეგიონალური ჟურნალისტების ანალიტიკურ ინტერნეტ-ბაზარზე, რომლის მეშვეობითაც დარეგისტრირებულ ქსელის წევრს შეუძლია პირდაპირი კონტაქტი იქონიოს რეგიონალურ გამომცემლებთან და რედაქტორებთან. გამომცემლებს და რედაქტორებს შეუძლიათ გადაბეჭდონ ანალიზები ვებგვერდიდან ადგილობრივ პრესაში. ჟურნალისტებს შესაძლებლობა აქვთ ექსკლუზიური ონლაინ-იტერვიუები ჩაუტარონ პოლიტიკურ და საჯარო ფიგურებს მეზობელი სახელმწიფოებიდან; მონაწილეობა მიიღონ ონლაინ პრეს-კონფერენციებში და გამოაქვეყნონ მთელი ეს მასალა თავიანთ მედია გამოცემებში;

ქსელის წევრებს ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ონლაინ-ფორუმში რეგიონალურ ექსპერტებთან ერთად. ფორუმის თემები ერთობლივად ისაზღვრება პროექტის პარტნიორების მიერ.

2005 წელს საიტზე ამოქმედდა იურიდიული კონსულტაციის სერვისი, სადაც ჟურნალისტებს შეუძლიათ მიიღონ რჩევები იურისტებისაგან. ეს სამსახური განსაკუთრებით სასარგებლოა იმ ჟურნალისტებისათვის, ვისაც სჭირდება დააზუსტოს მეზობელი ქვეყნის კანონმდებლობის ესა თუ ის პუნქტი.

გაზეთმა „რეზონანსმა“ ამ პროექტის ფარგლებში სტატიები შეუკვეთა სომეხ, აზერბაიჯანელ და ქართველ ჟურნალისტებს. თემები ნაირფერი იყო: სამოქალაქო საზოგადოება სამხრეთ კავკასიაში; კონფლიქტის გამომწვევი ნაციონალური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში; რუსეთის სამხედრო ზეწოლა რეგიონზე; საჯარო ტელევიზია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში; რუსული მემკვიდრეობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში; სამი თვალსაზრისი სადახლოს ბაზრობიდან.

2005 წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებთაგან ერთ-ერთი - *ქართულ-რუსული საინფორმაციო ანალიტიკური ვებგვერდი* www.pankisi.info" - ქართველი და რუსი ჟურნალისტების თანამშრომლობის განვითარებას უწყობდა ხელს. პროექტი ერთობლივია და კავკასიურ ინსტიტუტთან ერთად მას მოსკოვის ექსტრემალური ჟურნალისტიკის ცენტრი ახორციელებდა. ქართული მხარის პროექტი ხორციელდება "ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, რუსული მხარის კი – ფონდის "ღია საზოგადოების ინსტიტუტის" მიერ.

გართულებული რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობის ფონზე მწვავედ დადგა ამ ქვეყნებს შიგნით მიმდინარე მოვლენების შესახებ ქართული და რუსული საზოგადოების მართებული ინფორმირების პრობლემა. თუ რუსული მედია-პროდუქცია ქართული საზოგადოებისათვვის ასე თუ ისე ხელმისაწვდომია, ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები რუსეთში მინიმალური დოზით აღწევს. საკამათო საკითხებზე დაინტერესებულ პირებს არ გააჩნია საშუალება ორივე მხარის არგუმენტაციას გაეცნოს და ობიექტური დასკვნები გააკეთონ.

პროექტის მთავარი მიზანია ნაწილობრივ მაინც გადაწყვიტოს მომხმარებლისთვის ორმხრივი, თანაბარი ინფორმაციის მიწოდების პრობლემა. გარდა ამისა, იგულისხმება, რომ ასეთი – ორივე ქვეყნის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ორმხრივი ინფორმაციის – გავრცელება აიძულებს ჟურნალისტებს ასე თუ ისე თავი შეიკავონ უხეში დეზინფორმაციის გავრცელებისაგან და მეტნაკლებად მაინც მოექცნენ პროფესიულ ეთიკურ ნორმებში.

საიტის თემატიკა რუსულ-ქართული ურთიერთობების სხვადასხვა აქტუალურ ასპექტებს მოიცავს: პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა საზოგადოებრივი ურთიერთობები.

ქართული მხარე უზრუნველყოფს საიტის ორ რუბრიკას: 1. ქართული პრესა რუსეთის შესახებ; 2. ანალიტიკა (ცნობილ ქართველი ექსპერტთა და ჟურნალისტთა ექსკლუზიური წერილები).

პროექტის პირველი ეტაპი გრძელდებოდა 2003 წლის 1 აგვიტოდან 2004 წლის 1 აგვისტომდე. პროექტის მეორე ეტაპი 2005 წ-ის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 თებერვლამდე პერიოდს მოიცავს.

მთელი ამ დროის განმავლობაში პროექტის ჩარჩოებში რეგულარულად ტარდებოდა ქართული პრესის მონიტორინგი და ირჩეოდა ყველაზე აქტუალური სტატიები, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ეხებოდა.

შერჩეული სტატიები ითარგმნებოდა რუსულ ენაზე და თარგმანის სტილისტური რედაქტირების შემდეგ თავსდებოდა საიტზე. სულ 2005 წლის 1 იანვრიდან დღემდე საიტზე განთავსდა ქართული პრესიდან ამოკრებილი 261 სტატია და ქართელი ექსპერტების მიერ სპეციალურად საიტისთვის დაწერილი 32 სტატია.

ვებ-გვერდის პოპულარიზაციის მიზნით, მისი მონაცემები განთავსებულია **INTERNET.GE** –ს და **GOOGLE** - ის ვებ-დირექტორიებში, საიტის რეკლამა მისი თემატურობის გათვალისწინებით განთავსებულია №1 – 3 ჟურნალ **THE PROFILE** - ის სრულ გვერდზე.

Pankisi.info სტაბილურად იკავებდა სხვადსხვა ადგილს **mail.ru**-ს საფოსტო და საძიებო სისტემაში, სადაც ათასამდე რუსულ ინტერნეტ-საიტის მოხმარების რეიტინგი ფიქსირდება. ხოლო ბოლო დროს მან რეიტინგის მეორე გვერდიდან მთავარ გვერდზე გადაინაცვლა და მონაცვლეობით იკავებდა მე-20, 22-ე, 23-ე ადგილებს, 2005 წლის მიწურულს კი *იგი პირველ ადგილზეც გავიდა.* **mail.ru** - ს სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით, 2005 წ-ის ბოლოს საიტის მომხმარებელთა რაოდენობამ 330 000 მიაღწია.

სხვა სტატისტიკუტი სამსახურის, **hotlog.ru** – ს, მონაცემებით,
საიტის მომხმარებელთა რაოდენობა და გეოგრაფია 2005 წ-ის ბოლოსთვის ასე გამოიყურებოდა: რუსეთი – 23041 (53.50%), საქართველო – 7711 (17.90%), აშშ – 1698 (3.94%), გერმანია – 1469 (3.41%), ავსტრალია – 1165 (2.71%), უკრაინა – 1117 (2.59%), საფრანგეთი – 851 (1.98%), დიდი ბრიტანეთი 669 (1.55%), ლიტვა – 602 (1.40%), იტალია – 554 (1.29%), პოლონეთი – 366 (0.85%).

აღსანიშნავია ისიც, რომ **Pankisi.info-**ს ბმული სულ უფრო ხშირად ჩნდება სხვა ინტერნეტ-გვერდების მითითებებში. საიტზე განთავსებული ანალიტიკურ სტატიებს კი ხშირად აქვეყნებენ სხვა საკმაოდ სოლიდური ვებ-გვერდები.

საიტი უნიკალური ინფორმაციის წყარო გახდა იმ სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის, ვისაცს არ აკმაყოფილებს იდეოლოგიურად ცალმხრივი ხედვა, და იმას, რომ სადღეისოდ ის ერთადერთი ვებ-გვერდია, რომელიც უფასოდ აწვდის რუსულენოვან მომხმარებელს ქართული პრესიდან თარგმნილ სტატიებს.

<u>თანამშრომლობა საქართველოს ხელისუფლებასთან სპეციფიკურ საკითხებში</u>

კავკასიურმა ინსტიტუტმა ან მისმა ცალკეულმა ექსპერტებმა ზოგ სპეციფიკურ საკითხში ხელისუფლებასთან კონსტრუქციული თანამშრომლობის ფურცელი 2005 წელსაც ჩაწერეს...

2005 წელს კავკასიურმა ინსტიტუტმა და saferworld-მა დაიწყეს ერთობლივი პროექტი: *მსუბუქი იარაღის კონტროლი საქართველოში.* პროექტი რამდენიმე მიზანს ისახავს:

- მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების გაძლიერებას მსუბუქი იარაღის გავრცელების შეზღუდვის მიზნით;
- საქართველოში უსაფრთხოების სექტორის რეფორმების და განვითარების ხელშეწყობას;
- სამოქალაქო სექტორის მობილიზებას მსუბუქი იარაღის გავრცელების საკითხებზე მთავრობისა და საერთაშროისო ორგანიზაციების მიერ მიღებული ზომების ხელშესაწყობად.

პროექტის განზრახული იყო შეიქმნილიყო საქართველოს უწყებათაშორისი ეროვნული კომისია და ხელი შეწყობოდა მის განვითარებას, რაც თავის მხრივ გულისხმობდა: ეროვნული უშიშროების საბჭოსთან და ასევე სხვა ოფიციალურ სტრუქტურებთან დიალოგს და თანამშრომლობას, უწყებათაშორისი მონიტორინგის კომისიის შექმნის მიზნით; უსაფრთხოების სქტორში მიმდინარე რეფორმების მონიტორინგს; საერთაშროისო მოთხოვნების შესაბამისად ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას; სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ცოდნისა და ინფორმაციის მიწოდება, რაც ხელს შეუწყობს ხელისუფლების მცდელობას, შეზღუდოს მსუბუქი იარაღის გავრცელება, ასევე საზოგადოებასა და უწყებათაშორის კომისიას შორის კავშირების განვითარებას; უწყებათაშორისი კომისიისათვის ფონდების მოძიებაში დახმარების აღმოჩენას და სხვა.

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს კვლევა, რომელმაც უნდა დაადგინოს:

ა) მსუბუქი იარაღის გავრცელება: კანონიერი და უკანონო იარაღი, მისი წარმოება და მოძრაობა;

ბ) მსუბუქი იარაღის გავლენა: ცეცხლსასროლი იარაღით დაშავებულები, მსუბუქ იარაღთან დაკავშირებული კრიმინალი, საერთოდ მისი გავლენა ქვეყნის განვითარებაზე;

ც) საზოგადოების დამოკიდებულება მსუბუქი იარაღის მიმართ: იარაღის კულტი, იარაღის კონტროლის საშუალებების გაზრდა;

დ) მსუბუქი იარაღის გავრცელების შეზღუდვის შესაძლებლობები: საკანონმდებლო ბაზა, სახელმწიფო ინსტიტუციონალური შესაძლებლობები, სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობები, არსებული გამოცდილება იარაღის შეგროვება-გაუვნებელყოფის საკითხის გარშემო, ტრანსპარანტულობა.

კავკასიური ინსტიტუტი და Saferworld ასევე თანამშორომლობენ ამ პროცეში მედიის და საქართველოს პარლამენტის უფრო აქტიური ჩართვის მიმართულებით.

ამას გარდა, პროექტის ფარგლებში ხორციელდება საქართველოში უსაფრთხოების სქტორის რეფორმირების კერძოდ, პოლიციის რეფორმის პროცესის მონიტორინგი.

2005 წლის განმავლობაში ყველა დაგეგმილი აქტივობა განხორიცელდა:

1) უშიშროების საბჭოსთან არსებულ, თავდაცვის განვითარების დეპარტამენტთან ჩატარდა შეხვედრები და საინფრომაციო დიალოგი, დაისახა კონკრეტული ამოცანა: უწყებათაშროისო კომისიის შექმნა. აღნიშნულ კომისიას ეწოდა *მონიტორინგის კომისია* და შეიქმნა 2005 წლის 9 ივლისს პრეზიდენტის ბრძანებულების მიხედვით, ექსპორტ-იმპორტის კომისიის ბაზაზე. მონიტორინგის უწყებათაშორისი კომისიამ

დაგეგმა ზოგიერთი ღონისძიების გატარება მსუბუქ იარაღზე კონტროლის განსახორციელებლად:

2) სახელმწიფო სტრატეგიის შექმნა და სამოქმედო გეგმის შემუშავება (კავკასიური ინსტიტუტისა და Saferworld დახმარებით); ღონისძიებების გატარება საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურების მფლობელობაში არსებული იარაღის, ასევე ექპორტ-იმპორტირებულ იარაღზე კონტროლის გასამკაცრებლად; ყოვლისმომცველი მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც თავს იყრის საქართველოს ფარგლებში ლეგალური იარაღის ბრუნვის ყველა დეტალი, რაც თავის მხრივ შექმნიდა შესაძლებლობას იარაღის უსაფრთხო შენახვის პირობების გასაკონტროლებლად.

პროექტის ფარგლებში მიმდინარე კვლევის დაწყების წინ, ასევე მისი მიმდინარეობის დროს ჩატარდა რამოდენიმე ოფიციალური შეხვედრა – მრგვალი მაგიდა სახელმწიფო სტრუტქურების წარმომადგენლებისა და უცხოეთის საელჩოების/საერთაშროისო ორგანიზაციების წარმომადგნელების მონაწილეობით. განსაკუთრებული დაინტერესება და მხარდაჭერა გამოიჩინა ბრიტანეთის საელჩომ საქართვლოში, ასევე ეუთოს, ევროკომისიის წარმომადგენლობამ და სხვ. შეხვედრებზე დაფიქსირდა სახელმწიფო უწყებების დაინტერესება კვლევის მიმართ.

რაოდენობრივი სოცოლოგიური კვლევის ჩატარების უფლება გამოცხადებული კონკურსის შედეგად მოიპოვა **გორბიმ,** რომელმაც ნოემბერ-იანვრის თვეში ჩაატარა 1200 კაცზე სოციოლოგიური კვლევა. შედეგები ჯერ დამუშავების სტადიაშია.

კავკასიურმა ინსტიტუტმა და Saferworld-მა ერთობლივად ჩაატარა 30 ინტერვიუ Key Infromants-თან, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო სტრუქტურებში და ფლობენ ინფრომაციას მსუბუქი იარაღის შესახებ.

შედეგები დამუშავების სტადიაშია.

მას შემდეგ რაც კვლევის შედეგები იქნება მზად, შესაძლებელი გახდება ეროვნული სტრატეგიის შექმნა, რომელიც დაგეგმილია, რომ განხორციელდეს ხელისუფლების სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ასევე დაინტერესების შემთხვევაში დაგეგმილია სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება.

პროექტის მსვლელობისას თავი იჩინა ზოგიერთმა გაუთვალისწინებელმა გარემოებამ, რამაც შეაფერხა პროექტი

ხელისუფლების სტრუქტურებში არსებული არასტაბილურობის გამო 2005 წლის 22 ნოემბერის პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად მოხდა ცვლილებები უშიშროების საბჭოში, რის შედეგადაც ექსპორტ-იმპორტის უწყებათაშროისო კომისია გადავიდა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, შესაბამისად მან დაკარგა უწყებათაშორისო სტატუსი და თავდაცვის უწყების ნაწილი გახდა.

კომისიის წინაშე არსებული ამოცანების შესასრულებლად მნიშვნელოვანია, რომ ის უწყებათაშორისი იყოს, კონტროლის და პროფესიული ამოცანების უკეთესად გადასაჭრელად აუცილებელია მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა უწყების წარმოადგენლები, რის გამოც თავდაცვის სტრუქტურაში შექმნილ კომისიასთან შეიქმნა უწყებათაშროისო ექსპერტთა საბჭო. ამ კომისიის საქმიანობის სხვა დეტალები ჯერ-ჯერობით უცნობია. ეს საკითხი შემდგომი მუშაობის შედეგად უნდა დადგინდეს და შესაბამის გეგმები დაისახოს თავდაცვის უწყებასთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად.

ამგვარად, კომისიის დაშლის შედეგად ხელმეორედ გადასაჭრელი გახდა მთავარი ამოცანა, უწყებათაშორისო კომისიის შექმნა.

გრძელდება დიალოგი ხელისუფლებასთან კომისიის მუშაობის ეფექტურობის გასაძლიერებლად, ტარდება სამუშაო იარაღის კონტროლის

სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დასამკვიდრებლად, ხდება საზოგადოებრივი აზრის მობილიზება.

ხელისუფლებასთან კავკასიური ინსტიტუტის თანამშრომლობის კიდევ ერთი გამოვლენაა 2005 წლის სექტემბერში დაწყებული პროექტი - *„კეთილსინდისიერი ქცევის უზრუნველმყოფი ეროვნული სისტემის პარამეტრების წინასწარი განსაზღვრა საქართველოში.“* პროექტის მიზანია შეისწავლოს სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის ინსტიტუციური გარემო მისი ანტიკორუფციული მდგრადობის თვალსაზრისით, შეიმუშავოს რეკომენდაციები არსებული სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით და მიაწოდოს საქართველოს მთავრობას.

პროექტს ერთობლივად ახორციელებენ *მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი* (CIPDD), *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია* (GYLA), *საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო* (TIG). მისი ინიციატორები არიან TIRI ჯგუფი (დიდი ბრიტანეთი), გრიფიტის უნივერსიტეტის ეთიკის მართვისა და სამართლის ინსტიტუტი - IEGL (ავსტრალია), ღია საზოგადოების ინსტიტუტი - OSI (უნგრეთი), ფონდი ღია საზოგადოება საქართველო – OSGF.

პროექტის კვლევითი კომპონენტი მთლიანად ჩაღრმავებული ინტერვიუებს მოიცავს (სახელისუფლებო და არასახელისუფლებო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან). ინტერვიუებს აწარმოებენ CIPDD და TIG-ს წარმომადგენლები.

თავდაპირველად განსაზღვრული იყო 120 ინტერვიუს ჩატარება, მაგრამ კვლევითი აქტივობების ორგანიზების პროცესში წარმოქმნილმა სირთულეებმა (რთული იყო შეხვედრების შეთანხმება პოტენციურ რესპონდნეტებთან რამაც კვლევის პროცესი გააჭიანურა) ეს რაოდენობა 80-მდე შეამცირა.
პროექტი 2006 წლის მაისის პირველ ნახევარში უნდა დასრულდეს.

8. კავკასიური ინსტიტუტის გამოცემები 2005 წლის განმავლობაში

- „საზოგადოება და პოლიტიკა“- № 5 – „ზღვარი“ - ერთობლივი გამოცემა;
- საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები;
- საკონსტიტუციო-პოლიტიკური რეფორმის პროცესი საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში: პოლიტიკური ელიტა და ხალხის ხმები - რუსულ ენაზე;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში: მიღწევები და გამოწვევები - გია ნოდია (ქართულ და ინგლისურ ენებზე).

2005 წლის განმავლობაში კავკასიური ინსტიტუტის წამყვანი თანამშრომლები გამოდიოდნენ ტელევიზიით მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კომენტირების მიზნით, აქვეყნებდნენ სტატიებს მედიაში და თავისი წვლილი შეჰქონდათ საზოგადოებრივი აზრის ფორმეირებაში. ისინი ასევე გამოიყენებოდნენ საქართველოს მოვლენების კომენტირების წყაროებად საერთაშორისო მედიაშიც.